# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1637 2020 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 იანვრის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 იანვრის №149 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 02 02) ფარგლებში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 484 ერთეულით, მათ შორის, 8 ერთეულით – დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში;“;

ბ) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებიდან საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ფარგლებში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 8 პირის საშუალო შრომის ანაზღაურება განსაზღვროს არა უმეტეს 5 500 ლარის ოდენობით.“.

2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია